# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

08 . 04 .2014 წელი

2 ეგზ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო**

**ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 4/105**

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ ........................................ 3

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას ........................................ 3

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ........................................ 3

აუდიტორის პასუხისმგებლობა ........................................ 4

პირობითი მოსაზრების საფუძველები ფინანსური ანგარიშგების შესახებ ........................................ 4

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ ........................................ 5

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ ........................................ 5

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ........................................ 5

აუდიტორის პასუხისმგებლობა ........................................ 5

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ ........................................ 6

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ ........................................ 8

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა ........................................ 8

ბიუჯეტის შედგენა - შესრულება ........................................ 10

ინფორმაცია 2013 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის, საკასო და ფაქტობრივი ხარჯების შესახებ...... 11

ფაქტობრივი ხარჯების მეტობა საკასო ხარჯებზე ........................................ 11

უმაღლესი საბჭოს 2012 და 2013 წლების საკასო ხარჯების შედარებითი ანალიზი ........................................ 12

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი ........................................ 14

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები........................................16

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს საბჭოს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები ფინანსური ანგარიშგების შესახებ

უმაღლესმა საბჭომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შპს ,,მათე მოტორსთან'' გაფორმებული ხელშეკრულების [1] საფუძველზე საბჭოს ბალანსზე რიცხულ 17 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან, 1 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას [2] ჩაუტარა სრული სამღებრო [3] სამუშაოები

[1] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N167 18.07.2013წ.

[2] სახელმწიფო ნომრით SCA-001

ღირებულებით 2 300 ლარი[4]. საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 1321 ბრძანების[5] 24-ე მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით, ძირითადი აქტივების თავდაპირველი ღირებულებით აღიარების შემდგომ, ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რაც იწვევს აქტივების არსებით გაუმჯობესებას, აღირიცხება როგორც ძირითადი აქტივების მიღება, რაც აღნიშნულ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

## პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საბჭოს აპარატის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

## დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების

---

[3] ავტომანქანის დაშლა, სრული შეღებვა, აწყობა და პოლირება

[4] მიღება-ჩაბარების აქტი 23.07.2013წ.

[5] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N 1321 ბრძანება[5] "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

(ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

უმაღლესი საბჭოს მიერ მივლინების მუხლიდან გაწეული ხარჯი 2013 წლის პერიოდში 114 987 ლარს შეადგენს, მათ შორის ქვეყნის შიგნით 18 224 ლარი, ხოლო ქვეყნის გარეთ 96 763 ლარი. ქვეყნის გარეთ მივლინებისას უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებზე როუმინგით მომსახურებისათვის, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაუცველად,[6] ზედმეტად ანაზღაურებელია 1 122.3 ლარი[7], ხოლო აუდიტის პერიოდში ხელმძღვანელობის მიერ არ იქნა გატარებული სათანადო ღონისძიებები აღნიშნული თანხების ბიუჯეტში ანაზღაურების მიზნით, კერძოდ:

1. ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნოს მიწვევით უმაღლესი საბჭოს თანამშრომლების, 2013 წლის 17-23 მარტის პერიოდში, საფრანგეთის რესპუბლიკაში მივლინებისას ანაზღაურებულია როუმინგის მომსახურების ხარჯები 353.1 ლარი.
2. ბრანდენბურგის ფედერალური მიწის პარლამენტის მიწვევით უმაღლესი საბჭოს თანამშრომელების, 2013 წლის 2-9 ივნისის პერიოდში, გერმანიაში მივლინებისას ანაზღაურებულია როუმინგის მომსახურების ხარჯები 768.2 ლარი.

### შრომის ანაზღაურება

უმაღლესი საბჭოს წევრი[8] შესაბამისი ბრძანების[9] საფუძველზე, 2013 წლის 17-23 დეკემბრის პერიოდში მივლინებული იყო საფრანგეთის რესპუბლიკაში.

---

[6] საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დამტკიცებული „მაღალი რანგის თანამდებობის პირთათვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინებისას სადღეღამისო ნორმის დანამატის" შენიშვნების მე-5 პუნქტი.

[7] გ. გორაძე - 258.6 ლარი; მ. ვასაძე - 415.4 ლარი; ა. ჩიტიშვილი - 198.19; ა. ძნელაძე - 227.4 ლარი; ზ. ზერიძე - 7.78 ლარი; მ. ქათამაძე - 10.96 ლარი; პ. ზამბახიძე - 4 ლარი.

[8] აკაკი ძნელაძე

მივლინებული პირი საქართველოში დაბრუნდა 2014 წლის 10 იანვარს, აღნიშნულ პერიოდში სრულად დაფინანსებულია შრომის ანაზღაურების თანხა, თუმცა წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით მივლინების გაგრძელების, შვებულების ან საპატიო მიზეზის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შემდგარა, აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მივლინებულ პირს უკან დაბრუნების თვითმფრინავის ბილეთის ღირებულების თანხა დაბრუნებული აქვს ბიუჯეტში. აუდიტის ობიექტის მიერ დამატებით მოწოდებული ინფორმაციის [10] მიხედვით, ,,უმაღლესი საბჭოს წევრი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი ა. ძნელაძე, ხსენებულ პერიოდში საფრანგეთის რესპუბლიკაში დარჩა ქალაქ ბათუმის მერიის თხოვნის შესაბამისად, გარკვეული შეთანხმების გასაფორმებლად, რაც მან პრაქტიკულად განახორციელა. შესაბამისად, მისი ყოფნა საფრანგეთის რესპუბლიკაში 2013 წლის 23 დეკემბრიდან 2014 წლის 10 იანვრის ჩათვლით ფაქტობრივად დაკავშირებული იყო სადეპუტატო უფლებამოსილების პრაქტიკულ განხორციელებასთან,'' თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის პერიოდში უმაღლეს საბჭოში გაიმართა რიგგარეშე სესიის სხდომები, რომელსაც დეპუტატი არ დასწრებია. აუდიტის ობიექტის მიერ, დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით [11], ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი რწმუნება, რომ სახეზე არ იყო პლენალურ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის საფუძვლით, შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი სამართლებრივი წინაპირობები[12].

### ავტოსამრეცხაოს მოწყობის სამუშაოები

უმაღლესმა საბჭომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულება[13] გააფორმა შპს ,,ტრიადა 2008-თან'' ავტოსამრეცხაოს მოწყობის სამუშაოებისათვის, სახელშეკრულებო ღირებულებით 3 892.1 ლარი[14]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდა ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს[15], იმ პირობებში როდესაც სხვა სამუშაოებთან ერთად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 120 კვ.მ ტერიტორიის მოსწორება - მოშანდაკება, 160 კვ.მ

[9] ბრძანება N78, 27/11/2013 წ.
[10] წერილი N09-02-19/259, 02/04/2014 წ.
[11] წერილი N09-02-19/259, 02/04/2014 წ.
[12] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 144-ე მუხლის მე-7 პუნქტი.
[13] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N345 25.12.2013წ.
[14] სახელშეკრულებო ღირებულება გადახდილია 27.12.2013წ.
[15] მიღება ჩაბარების აქტი 26.12.2013წ. საგადასახადო ანგარიშფაქტურა ეა-70 1795662

ტერიტორიაზე და შენობაში 10 სმ სიმაღლის ბეტონის მოჭიმვა და 13 კვ.მ ბეტონის კედლის მოშლა და ახლიდან აშენება. ფაქტობრივად ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოების დაწყებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით 2 დღის პერიოდში დასრულების რეალობა რისკის შემცველია.

## პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, უმაღლესი საბჭოს აპარატის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

## მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

1. უმაღლესი საბჭოს წევრი, შესაბამისი ბრძანების[16] საფუძველზე ვიზის საკითხთან დაკავშირებით, 2013 წლის 10 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით, მივლინებით იმყოფებოდა ქ. თბილისში. მივლინების პერიოდი დასტურდება აგრეთვე მივლინებული პირის წერილებითაც[17]. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ 9 ოქტომბერი არ მოიცავდა მივლინების პერიოდს, მივლინებულ პირს აუნაზღაურდა 9 ოქტომბრის სასტუმრო მომსახურების ღირებულება 100 ლარი.

2. უმაღლესი საბჭოს თანამშრომლები შესაბამისი ბრძანებების[18] საფუძველზე, 2013 წლის 24 ნოემბრიდან 26 ნოემბრის ჩათვლით მივლინებული იყვნენ ქ. თბილისში, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში. მივლინებული პირების წერილებით დგინდება[19], რომ მივლინება გრძელდებოდა 24 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ 23 ნოემბერი არ მოიცავდა მივლინების პერიოდს, მივლინებულ პირებს აუნაზღაურდა 23 ნოემბრის სასტუმრო მომსახურების ღირებულება, ასევე 26 ნოემბრის დღიური თანხა, სულ 210 ლარის ოდენობით.

3. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დებიტორული/კრედიტორული დავალიანებების მქონე პირებთან არ არის განხორციელებული

---

[16] უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება N61, 09/10/2013 წ.
[17] წერილი N6-10/262, 15/10/2013 წ. N6-10/254 08.10.2013წ.
[18] უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებები: N77, 22/11/2013 წ. და N173, 22/11/2013 წ.
[19] წერილი N6-10/308, 26/11/2013 წ. N6-10/302 21.11.2013წ. განცხადება 09-02-11/4382, 02/12/2013 წ.

ურთიერთშედარებები [20]. ასევე დადგენილი წესით, ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან[21].

4. კანონმდებლობით გათვალისწინებული ყოველწლიური სავალდებულო ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული[22], მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მიერ შესაბამისი ბრძანებით[23] შეიქმნა კომისია საბჭოს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით[24], საინვენტარიზაციო პროცედურები ვერ იქნა დასრულებული და გადატანილი იქნა 2014 წლის 15 მარტამდე. ამასთან, საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან მატერიალურად პასუხისმგებელი პირებიც[25].

5. გაუმართავია შიდა კონტროლის მექანიზმი უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის და საშვებულებო თანხის გაცემის საკითხებზე. იმ პირობებში, როდესაც დასაქმებული ითხოვს შვებულებაში გასვლას კონკრეტული ვადით, მას წინასწარ ეძლევა 30 დღის საშვებულებო ანაზღაურება, ხოლო შვებულებიდან გამოსვლის შემდგომ ხდება ზედმეტად გადახდილი საშვებულებო თანხის დაქვითვა შრომითი ანაზღაურებიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება გამოიყენოს ნაწილ-ნაწილ. შვებულებაში გასვლამდე, ან მის შემდგომ დასაქმებულს ეძლევა უფლება, ხოლო დაწესებულებას წარმოეშობა ვალდებულება, საქართველოს შრომის კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილი წესის თანახმად, გასცეს საშვებულებო

---

[20] დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13, მე-14 და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი

[21] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

[22] დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 06.02.1998წ. ,,საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე'' N70 ბრძანებულების მე-15 მუხლის მოთხოვნები

დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ N 605 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნები

[23] უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანება N21 20.12.2013წ.

[24] შესრულების ვადით 2013 წლის 20 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი

[25] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" დამტკიცების შესახებ N 605 ბრძანების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

ანაზღაურება იმ ოდენობით, რამდენი კალენდარული დღითაც სარგებლობს მოსამსახურე შვებულებას. სხვა შემთხვევაში წინასწარ გადახდილი 30 დღის საშვებულებო თანხა უნდა ჩაითვალოს ავანსად გადახდილად.

6. აუდიტის პერიოდში დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც თანამშრომელი მთელი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ანაზღაურებად შვებულებაში[26] და მიუხედავად ამისა, მას მიეცა პრემია[27] თანამდებობრივი სარგოს 50% ოდენობით[28]. საქართველოში მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად[29], შვებულება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას, რა დროსაც დასაქმებული დროებით არ ასრულებს გათვალისწინებულ სამუშაოებს. ასევე საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანების თანახმად, პრემია წარმოადგენს ფულად წახალისებას. გამომდინარე აქედან, აღნიშნულ შემთხვევაში დაუშვებელია შვებულების დროს მოხელის ფულადი წახალისება.

## ბიუჯეტის შედგენა - შესრულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი 4 371.0 ათასი ლარით განისაზღვრა, აუდიტის პერიოდში ორ შემთხვევაში კანონით განხორციელებული ცვლილებებით, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა 4 494.6 ათასი ლარი შეადგინა.

---

[26] აპარატის უფროსის ბრძანება N113 18.09.2013წ.

[27] უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანება N58 23.10.2013წ. – ზ. საღრიშვილი 250 ლარი.

[28] აღნიშნული თანამშრომელი ყოველთვიურად ღებულობს პრემიას თვეში 50%-ის ოდენობით, ყოველკვარტალურად 100%-ის ოდენობით ხოლო დეკემბერში 200%-ის ოდენობით.

[29] საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მუხლი 88. მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება

მოხელის სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება ნიშნავს მოხელის დროებით განთავისუფლებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან და შესაბამისი დაწესებულების განთავისუფლებას მოხელის სამსახურით უზრუნველყოფის მოვალეობისაგან.

1. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების პერიოდში მოხელეს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით უნარჩუნდება თანამდებობრივი სარგო, დანამატები ან ეძლევა სხვაგვარი კომპენსაცია

მუხლი 89. სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საფუძველი

სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერდება:

ბ) შვებულების დროს;

ინფორმაცია 2013 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის, საკასო და ფაქტობრივი ხარჯების შესახებ მოცემულია ცხრილის სახით:

თანხა ასეულებში

| საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დასახელება | 2013 წლის ბიუჯეტი | | 2013 წლის ხარჯები | | გადახრა ფაქტი-საკასო | | გადახრა გეგმა-საკასო | შესრ. % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დამტკ. | დაზუსტ. | საკასო | ფაქტობრივი | მეტობა | ნაკლებობა | | |
| სულ ხარჯები | | | | | | | | |
| ხარჯები | 4 187 000 | 4 287 722 | 4 162 669 | 4 210 966 | | 48 297 | 5 294 | 99.9% |
| . მათ შორის | | | | | | | | |
| 1.1 შრომის ანაზღაურება | 2 791 800 | 2 956 085 | 2 933 195 | 2 933 195 | | | 22 890 | 99.2% |
| 1.2 საქონელი და მომსახურება | 1 350 880 | 1 291 707 | 1 199 051 | 1 241 074 | 42 023 | | 92 656 | 92.8% |
| 1.6. გრანტები | 0 | 0 | 0 | 6 274 | 6 274 | | 0 | |
| 1.7 სოციალური უზრუნველყოფა | 14 320 | 13 000 | 7 306 | 7 306 | | | 5 694 | 56.2% |
| 1.8 სხვა ხარჯები | 30 000 | 26 930 | 22 809 | 22 809 | | | 4 121 | 84.7% |
| 2013 წელს კრედიტორული დავალიანების დაფარვის მიზნით (ვალდებულებები) | 308 | 308 | 308 | 308 | | | 0 | 100.0% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | | | | | | | | |
| 1. სულ არაფინანსური აქტივების ზრდა | 184 000 | 206 570 | 119 759 | 0 | | | 86 811 | 58.0% |
| სულ ასიგნება | 4 371 000 | 4 494 600 | 4 282 428 | 4 210 966 | 71 462 | | 212 172 | 95.3% |

სხვაობა 2013 წლის ფაქტობრივსა და საკასო ხარჯების შორის:

ფაქტობრივი ხარჯების მეტობა საკასო ხარჯებზე:

1. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 42.0 ათასი ლარი, სხვაობა გამოწვეულია 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად არსებული საწვავის ხარჯვით.

2. გრანტები - 6.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან შეძენილია აქტივები, რომელიც შემდგომში გადაეცა შპს "ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლას".

<u>უმაღლესი საბჭოს **2012** და **2013** წლების საკასო ხარჯების შედარებითი ანალიზი:</u>




წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში, 2013 წლის ხარჯები 2012 წლის ხარჯებთან შედარებით, რიგ შემთხვევებში შემდეგი ცვლილებებით ხასითდება, კერძოდ:

✓ გაზრდილია: თანამდებობრივი სარგო - 96.5 ათასი ლარი; პრემია - 137.1 ათასი ლარი; კომპენსაცია სადეპუტატო უფლებამოსილებისათვის – 58.7 ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 22.5 ათასი ლარი; მივლინება - 57.7 ათასი ლარი.

✓ შემცირებულია: ოფისის ხარჯები - 44.1 ათასი ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯები - 14.5 ათასი ლარი; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 61.2 ათასი ლარი; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 14.8 ათასი ლარი.

➢ როგორც აღინიშნა, 2012 წელთან შედარებით გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები 233.6 ათასი ლარით, რადგანაც უმაღლეს საბჭოში შეიქმნა ახალი ფრაქცია და კომისია. შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯებიდან 840.5 ათასი ლარი გაცემულია პრემიის სახით, რომელიც მთლიანი შრომის ანაზღაურების 28.6% შეადგენს. წლიური მონაცემების შეჯამებით, პრემიების გაცემა ხდება ყოველთვიურად, ძირითადად თვეში საშუალოდ თითოეულ თანამშრომელზე 50%-ის ოდენობით და ყოველკვარტალურად 100%-ის ოდენობით, ხოლო დეკემბრის თვეში გაცემული იქნა 200%-ის ოდენობით. აგრეთვე, გარდა ყოველთვიური საპრემიო წახალისებისა, 36 შემთხვევაში დამატებით, ასევე წახალისებისათვის გაცემულია ერთდროული ფულადი ჯილდო (როგორც სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელებზე ასევე სპეციალისტებზე) თანამდებობრივი სარგოს 50/100 პროცენტის ან კონკრეტული თანხის ოდენობით.

➢ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების 2013 წლის საკასო შესრულება საბალანსო მონაცემებით შეადგენს 191.9 ათას ლარს. როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 2012 წელთან შედარებით საკასო ხარჯები შემცირებულია 61.2 ათასი ლარით. აღნიშნული მუხლი მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისათვის გაწეულ ხარჯებს, როგორც საწვავს, ასევე სარემონტო სამუშაოებს. საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამისი ბრძანებით დადგენილია ყოველი თვის ლიმიტი.

✓ აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 2013 წლის პერიოდში ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული იქნა საბჭოს ბალანსზე რიცხული ,,GREATWALL WINGLE''-ის მარკის ავტომობილი, სახ. ნომრით SCA 885, რომლის სარემონტო სამუშაოებისათვის გადახდილი იქნა 6.7 ათასი ლარი [30]. უმაღლესი საბჭოს მოთხოვნის მიუხედავად, შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის მიერ უარი იქნა გაცხადებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როგორც სადაზღვევო კომპანია თავის წერილში [31] აღნიშნავს, მძღოლის ახსნა-განმარტებით მას ავტოსატრანსპორტო შემთხვევა მოუვიდა დაუდევრობით, ამავდროულად ხელშეკრულების მიხედვით მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს ან დაზიანებას, რომელიც გამოწვეულია უფლებამოსილი მძღოლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ამ პერიოდისათვის მიმდინარეობს სასამართლო დავა.

✓ უმაღლესმა საბჭომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულება [32] გააფორმა შპს „მათე მოტორსთან“ საბჭოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების [33] შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა ძრავის შეკეთებას, სულ გადახდილი იქნა 2 832 ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხდება იდენტიფიცირება, თუ რით იქნა განპირობებული აღნიშნული დაზიანება.

---

[30] მიღება-ჩაბარების აქტი N26/12/13 26.12.2013წ.

[31] წერილი N 05/2056/13 10.10.2013წ.

[32] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N233 07.10.2013წ.

[33] სახეკმწიფო ნომრით SCA 005

- წარმომადგენლობითი ხარჯების 2013 წლის საკასო შესრულება, 2012 წელთან შედარებით, 14.5 ათასი ლარით არის შემცირებული, რომელიც ძირითადად მოიცავს სხვადასხვა დელეგაციების, სტუმრების მიღებასა და მომსახურებას.
- მივლინების მუხლით გაწეული ხარჯები 2013 წლის პერიოდში შეადგენს 114.9 ათას ლარს, 2012 წელთან შედარებით გაზრდილია სამივლინებო ხარჯები 57.7 ათასი ლარით, უმეტესი წილი სამივლინებო ხარჯებისა შეადგენს ქვეყნის გარეთ სამივლინებო გადასახდელებს.

სულ აუდიტის პერიოდში განხორციელებულია 328 ერთეული გამარტივებული შესყიდვა, აგრეთვე 26 შემთხვევაში იქნა გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, მათ შორის 22 შემთხვევაში გაფორმდა ხელშეკრულება, 2 შემთხვევაში საოფისე ავეჯის და ვიდეო აპარატურის შესყიდვასთან დაკავშირებით ტენდერი არ შედგა მონაწილეთა არარსებობის გამო, 1 შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე შეწყვეტილი იქნა ტენდერი, ხოლო 1 შემთხვევაში ავეჯის შესყიდვასთან დაკავშირებით დასრულდა უარყოფითი შედეგით.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბჭოს დებიტორული დავალიანების ნაშთად ირიცხებოდა 3.0 ათასი ლარი, კრედიტორულ დავალიანებად 13.0 ათასი ლარი, ხოლო 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენს 4.5 ათას ლარს, რომელიც ავანსად გაცემულ სამივლინებო თანხებს წარმოადგენს, ხოლო კრედიტორული დავალიანება შეადგენს 34.3 ათას ლარს, რომელიც მოიცავს საწვავის, მობილური კავშირგაბმულობისა და ელექტროენერგიის ხარჯებს.

## აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გურამ დუმბაძე /აუდიტორი/
ჰენრი სანიკიძე/აუდიტორი/
რამაზ დიასამიძე/აუდიტორ-ასისტენტი/

8 აპრილი 2014 წელი

| კოდი | აქტივები | ანგ. # | ნაშთი წლის დასაწყისისთვის | ნაშთი წლის ( კვარტლის ) ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| | I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები | | | |
| 010 | ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში | 1110 | | 0 |
| 020 | ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში | 1120 | | 0 |
| 030 | მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში | 1210 | | 0 |
| 040 | მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში | 1220 | | 0 |
| 050 | სადეპოზიტო ანგარიში ბანკში | 1230 | | 0 |
| 060 | სხვა ანგარიშები ბანკში | 1240 | | 0 |
| 070 | ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის | 1250 | | 0 |
| 080 | დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში | 1260 | | 0 |
| 090 | დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში | 1270 | | 0 |
| 100 | ხაზინის სავალუტო ანგარიში | 1280 | | 0 |
| 110 | სხვა ანგარიშები ხაზინაში | 1290 | | 0 |
| 120 | ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 1310 | | 0 |
| 130 | მოკლევადიანი სესხები | 1320 | | 0 |
| 140 | აქციები და სხვა კაპიტალი | 1330 | | 0 |
| 150 | წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 1340 | | 0 |
| 160 | საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები | 1351 | | 0 |
| 170 | არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები | 1352 | | 0 |
| 180 | დეპოზიტებზე და სხვა ფინანსური აქტივებზე დარიცხული პროცენტები | 1353 | | 0 |
| 190 | მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხ | 1354 | | 0 |
| 200 | მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდ | 1355 | | 0 |
| 210 | გადახდილი დღგ | 1356 | | 0 |
| 220 | წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი | 1357 | | 0 |
| 230 | სხვა საგადასახადო აქტივი | 1358 | | 0 |
| 240 | მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით | 1359 | | 0 |
| 250 | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები | 1360 | | 0 |
| 260 | მოთხოვნები ბარტერით | 1410 | | 0 |
| 270 | მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ | 1420 | | 0 |
| 280 | მოთხოვნები წინასწარი გადახდებით | 1430 | 3,027 | 0 |
| 290 | მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით | 1440 | | 0 |
| 300 | ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები | 1450 | | 0 |
| 310 | მომუშავეების მიმართ მოთხოვნები | 1460 | | 4,573 |
| 320 | მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით | 1470 | | 0 |
| 330 | სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები | 1480 | | 0 |
| 340 | გრძელვადიანი სესხები | 1510 | | 0 |
| 350 | სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები | 1520 | | 0 |
| 360 | სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები | 1530 | | 0 |
| | II. არაფინანსური აქტივები | | | |
| 370 | სტრატეგიული მარაგები | 1610 | | 0 |
| 380 | სხვა მატერიალური მარაგები | 1620 | 59,253 | 23,969 |
| 390 | შენობა-ნაგებობები | 2110 | 1,828,886 | 2,215,356 |
| 400 | მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 2120 | 931,551 | 915,198 |
| 410 | სხვა ძირითადი აქტივები | 2130 | 4,720 | 4,248 |
| 420 | დაუმთავრებელი მშენებლობა | 2140 | | 0 |
| 430 | გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | 2200 | 2,520 | 8,386 |
| 440 | ფასეულობები | 2300 | | 0 |
| 450 | არაწარმოებული აქტივები | 2400 | 146,776 | 146,776 |
| | ბალანსი | | 2,976,733 | 3,318,506 |

06/02/14 09:42:38

| კოდი | ვალდებულებები და კაპიტალი | ანგ. # | ნაშთი წლის დასაწყისისთვის | ნაშთი წლის ( კვარტლის ) ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| | I. ვალდებულებები | | | |
| 460 | მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები | 3100 | | 0 |
| 470 | მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 3210 | 13,008 | 34,388 |
| 480 | აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 3220 | | 0 |
| 490 | ვალდებულებები ბარტერით | 3230 | | 0 |
| 500 | გადასახდელი მოგების გადასახადი | 3241 | | 0 |
| 510 | გადასახდელი დღგ | 3242 | | 0 |
| 520 | გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი | 3243 | | 0 |
| 530 | სხვა გადასახდელები | 3244 | | 0 |
| 540 | ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით | 3245 | | 0 |
| 550 | ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები | 3246 | | 0 |
| 560 | შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები | 3251 | | 0 |
| 570 | შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები | 3252 | | 0 |
| 580 | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით | 3253 | | 0 |
| 590 | ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ | 3254 | | 0 |
| 600 | დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული | 3255 | | 0 |
| 610 | დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხულ | 3256 | | 0 |
| 620 | ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით | 3257 | | 0 |
| 630 | გადასახდელი სტიპენდიები | 3258 | | 0 |
| 640 | სოციალური დაზღვევის ანარიცხები | 3259 | | 0 |
| 650 | ვალდებულებები დეპონენტების მიმართ | 3260 | | 0 |
| 660 | სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები | 3270 | | 0 |
| 670 | სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები | 3280 | | 0 |
| 680 | გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები | 3300 | | 0 |
| | II. კაპიტალი | | | |
| 690 | წმინდა ღირებულება | 5100 | 2,963,725 | 3,284,118 |
| 700 | საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი | 5210 | | 0 |
| 710 | *გაუნაწილებელი მოგება | 5220 | | 0 |
| 720 | დაუფარავი ზარალი * | 5230 | | 0 |
| | ბალანსი | | 2,976,733 | 3,318,506 |
| | III.საცნობარო მუხლები | | | |
| 730 | საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარ | 01 | 0 | 0 |
| 740 | პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები | 02 | 0 | 0 |
